

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მიმართულება

გიული აბაშიძე

კომუნიკაციური უნარების განვითარება ზოგადი განათლების
საბაზო საფეხურზე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი-პედაგოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი:
დედა ბარბარე

2020 - წელი

ანოტაცია

გიული აბაშიძის ნაშრომში „კომუნიკაციური უნარების განვითარება“ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე განხილულია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემა, ამასთან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებში გათვალისწინებულია კომუნიკაციური უნარების განვითარება საბაზო საფეხურის ყველა კლასში. ამ მიმართებით ახალი მიდგომებისა და მეთოდების ძიება ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

განხორციელებული კვლევის მეცნიერული სიახლეა, კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებისათვის სწავლების ეფექტური ინსტრუმენტების შერჩევისა და გამოყენების განხილვა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე მაღალმთიანი სოფლის სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით: ინსტრუმენტების, მიდგომების აქტივობების შერჩევის პრინციპების ჩამოყალიბება და მათი გამოყენების ნიმუშების დამუშავება.

ნაშრომში თეორიული მასალა გაანალიზებულია პედაგოგიურ მეცნიერულ, მეთოდურ, სანდო ინტერნეტ წყაროებზე დაყრდნობით. წარმოდგენილია პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის მხარეები. ამასთან მოცემულია ავტორის მიერ კვლევის პრობლემის შესაბამისად განხორციელებული კოლეგების მიერ მხარდაჭერილი ნიმუშები.

ნაშრომში მოცემული დასკვნები ეყრდნობა განხორციელებული კვლევების შედეგებს. მისი სანდოობა შემოწმებულია პრაქტიკული გამოყენებით.

ნაშრომის სტრუქტურა თანმიმდევრულია იგი მოიცავს შესავალს, სამ თავს, ექვს პარაგრაფს, დასკვნას, ლიტერატურის დასახელებას.

ნაშრომში აღწერილი მასალების აპრობაცია შედგა სპეციალურ სემინარებსა და მასწავლებელთა კონფერენციებზე.

Annotation

Giuli Abashidze's work "Development of Communication Skills" discusses the current problem of modernity at the basic level of general education (on the example of teaching English). National Curriculum Standards provide for the development of communication skills in all grades of basic education.

The scientific novelty of the research is to discuss the selection and use of effective teaching tools for the development of communication skills at the basic level of general education, taking into account the needs of high school students: developing principles for selecting tools, approaches activities and developing patterns of their use.

The theoretical material in the paper is analyzed based on pedagogical scientific, methodological, reliable internet sources. The parties to the study of pedagogical experience are presented. In addition, the author provides samples supported by colleagues in accordance with the research problem.

The findings of this paper are based on the results of studies conducted according to paragraphs. Its reliability is tested using practicality.

The structure of the paper is consistent. It includes three introductory chapters, six paragraphs, a conclusion, and the title of the literature.

The approbation of the materials described in the paper took place at special seminars and teacher conferences.

შინაარსი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	5
თავი I. კომუნიკაციური უნარების განვითარების პრობლემები	
&.1. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის.....	12
&.2. უცხოური ენის სწავლების ახალი მიდგომები.....	17
&.2.1. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი.....	18
&.2.2. კომუნიკაცია, როგორც კომუნიკაციური სწავლების მიზანი.....	20
&.3. ინტერკულტურული და ინტერპერსონალური კომუნიკაცია.....	29
თავი II. კომუნიკაციური უნარების სწავლების მეთოდები და აქტივობები	
&.4. უცხოური ენის სწავლების მეთოდები.....	36
&.5. აქტივობები კომუნიკაციური სწავლა-სწავლებისთვის.....	43
თავი III. კომუნიკაციური სწავლების გამოცდილება.	
&.6. კომუნიკაციის პრობლემა პირად პედაგოგიურ კვლევებსა და პედაგოგიურ გამოცდილებაში.....	52
დასკვნები.....	58
გამოყენებული ლიტერატურა.....	59

შესავალი

უცხოური ენების შესწავლას საქართველოში საუკუნეების ტრადიცია აქვს. უცხოური ენების ცოდნის საჭიროება განსაკუთრებით წარმოჩინდა თანამედროვე ეპოქაში უცხოური ენების ათვისების მრავალმხრივი კვლევების და მიმართულების განხილვის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენის გაკვეთილის ძირითადი მიზანი გრამატიკული წესების თუ კლასიკური ნაწარმოების თარგმნა და დაზეპირება იყო, დღეს უცხოური ენის შესწავლის მიზანი ამ ენაზე კომუნიკაციაა. გაჩნდა ახალი მიმართულება: გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდიდან კომუნიკაციურ მეთოდამდე, აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან მიმართებაში, რომ მთარგმნელობითი მეთოდიკა უნდა დარჩეს ამასთან დაინერგოს კომუნიკაციური მიმართულება, როგორც ცნობილია გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს ლინგვისტიკაში ახალი კომუნიკაციური პარადიგმის დაფუძნებამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია, უცხოური ენების სწავლებამ სასწავლო მიზანმა და პროცესმა შეიძინა „კომუნიკაციურობა“ აქცენტი ენობრივ სისტემის ათვისებიდან და შესაბამის მეთოდებიდან გადასვლა რეალურ სიტუაციებში, ენის გამოყენებაზე ამდენად სწავლების ცენტრში აღმოჩნდა ენის პრაქტიკულად გამოყენება და ენის გამომყენებელი.

უცხოური ენის რაობა განისაზღვრება, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენცია ანუ „ენის გამოყენების უნარი“ რომელიც მოიცავს არა მარტო ენის სისტემის ცოდნას, არამედ ამ ცოდნის გამოყენების წესებს განსაზღვრულ ჩარჩოებში.

გამოყენების წესები უკავშირდება კონკრეტულ კომუნიკაციურ ქმედებებს. კომუნიკაციური ქმედებები კი თავის მხრივ უკავშირდება მსჯელობის რეალიზაციას, დამოუკიდებელი აზრის ზეპირ თუ წერილობით ფორმულირების, არგუმენტირებას.

ეროვნული სასწავლო გეგმებში 2006 წლიდან დაიწყო სასკოლო სტანდარტების უცხოური ენის ერთიან ჩარჩოსთან შესაბამისობის გათვალისწინება, მხედველობაში გვაქვს უცხოური ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კრიტერიუმები. აღინიშნებოდა, რომ ზოგადსაკაცობრიო კულტურული და აღმზრდელობითი ღირებულებები შეეფარდებინათ ქართულ ისტორიულ-კულტურული ტრადიციებისათვის.

ეს პრობლემა ჯერ კვლევის მიზანი არ ყოფილა, მაგრამ მაინც დავინტერესდი, გავიცანი, შევისწავლე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ უცხოური ენების კერძოდ, ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში ქართული ისტორიულ-კულტურული ტრადიციები ასახულია ინფორმაციის სახით და სასაუბრო თემებში, რაც არასაკმარისად მიმაჩნია იმ ფონზე, როცა გერმანიაში გამოყენებულია სასკოლო სახელმძღვანელო ტრადიციული ყოფითი და კულტურულ მემკვიდრეობის დიდაქტიკის სფეროში და მისი შესწავლა სწავლების პირველ საფეხურზეა გათვალისწინებული და ვფიქრობ გასაზიარებელია გამოცდილებაც.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2018-2024 წ. ანალიზი ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა კლასში არის სტანდარტი კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის.

კომუნიკაცია - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის. კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური (სიტყვიერი) ან არაველბარული (ჟესტები) სახით.

კომუნიკაცია შეიძლება იყოს გუნდურ-შემოქმედებითი, როცა კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობით გამომუშავდება საგნებსა და მოქმედებებზე საერთო შეხედულებები.

კომუნიკაციის უნარ-ჩვევებია: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, არავერბალური კომუნიკაცია, ინფორმაციის გარდაქმნა-ტრანსფორმაცია და სხვა.

კომუნიკაცია ერთი შეხედვით მარტივი პროცესია, მაგრამ, როგორც დაკვირვება ცხადყოფს, იგი რთული პროცესია მისი საშუალებით

შესაძლებელია სხვადასხვა სახის პრობლემის მოგვარება და სასურველ შედეგის მიღწევა. ადამიანი სოციალური არსებაა, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი სიტყვიერი ურთიერთობებში ჩართულია, სწორედ და ეფექტურად წარმართული კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

კომუნიკაცია ორ ადამიანს შორის მიმდინარეობს იგი თუ გუნდურია ყოველთვის გააჩნია მიზანი. მიზანი რომ სასურველი იქნას მიღწეული აუცილებელია ვიცოდეთ ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები, ხერხები, საშუალებები. კომუნიკაციის დროს წამოჭრილ პრობლემების დაძლევა, მაგალითად სწორედ გაიგო თუ არა გადაცემული ინფორმაცია მიმღებმა, ზუსტად წარმოთქვა ინფორმაცია, რომელიც გადაეცა, რამდენად არის დაცული ეთიკური ნორმები და სხვა.

უცხოურ ენაზე მეტყველებისას ყოველთვის არ გვესმის ისე, როგორც ამბობს. ცხადიყო რომ კომუნიკაციის დროს მოსწავლე იყენებს იმ ცოდნას და გამოცდილებას რომელიც საკლასო ოთახში შეიძინა, რომელიც განაპირობებს თავისუფალ, დაუბრკოლებელ ენობრივ კომუნიკაციის ხარისხს.

მასწავლებლის მუშაობის პერიოდში უცხოური ენის შესწავლაზე დაკვირვების ჩატარების სხვა პრობლემებთან ერთად გამოიკვეთა საკომუნიკაციო უნარების ნაკლებობა, ეს ერთის მხრივ გამოწვეული იყო იმით, რომ მოსწავლეებს მხოლოდ კვირაში ორი-სამი დღე უწევდათ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, ისიც საგაკვეთილო მასალასთან დაკავშირებით, რაც ცხადია საკმარისი არ იყო. მეორე მხრივ სწავლების მეთოდების მიდგომების შერჩევისას მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინება უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებდა.

თავდაპირველად ვცადე მე-7 კლასთან მიმართებაში შევჭიდებოდი პრობლემას და განვახორციელე გარკვეული მუშაობა კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის. ჩემეული გამოცდილება გავუზიარე მასწავლებელთა კონფერენციას, გამოცდილი კოლეგების მხარდაჭერამ

წამახალისა და გადავწყვიტე ჩემს პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა დამეწყო კომუნიკაციური უნარების განვითარების ეფექტური მეთოდების დანერგვით.

აღნიშნულმა განაპირობა ჩემი დაინტერესება საკვლევი პრობლემით.

კვლევის მიზანი: კომუნიკაციური სწავლების ეფექტური ინსტრუმენტების (მეთოდების) შერჩევა და გამოყენება საბაზო საფეხურზე.

კვლევის ამოცანები:

1. კომუნიკაციური უნარების განვითარებისადმი მოთხოვნების შესწავლა და მისი განხორციელების შესაძლებლობების გაცნობიერება.

2. კომუნიკაციური უნარების სწავლების მეთოდების და აქტივობების შერჩევა გამოყენება.

3. წარმატებული გამოცდილების შესწავლა და დანერგვა.

კვლევის მეთოდები:

დაკვირვება, სამაგიდე კვლევა, ანალიზი, დასკვნა, შედარებითი ანალიზი გამოცდილების შესწავლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებისათვის სწავლების ეფექტური ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება განხილულია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე. მაღალმთიანი სოფლის სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით დამუშავებულია ინსტრუმენტების, მიდგომების, აქტივობების შერჩევის პრინციპები და მოცემულია მათი გამოყენების ნიმუშები.

კვლევის თეორიული მთარგმნელობა

გაანალიზებულია თეორიული მასალა კომუნიკაციური უნარების განვითარებისადმი მოთხოვნები ეროვნული სასწავლო გეგმის ენების ერთიანი ჩარჩოს შესაბამისად. შესწავლილია კომუნიკაციური უნარების სწავლებასთან სამეცნიერო დაკავშირებული მეთოდური ლიტერატურა, ინტერნეტ წყაროები დასაბუთებულია თეორიული მასალების გამოყენების საჭიროების მნიშვნელობა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომში შესწავლილია წარმატებული გამოცდილება, მოცემულია კომუნიკაციური უნარების განვითარების ეფექტური ინსტრუმენტების, აქტივობების აღწერა, ნაჩვენებია მათი ეფექტური გამოყენების ნიმუშები.

ამგვარი მიდგომა ამაღლებს ნაშრომის პრაქტიკულ გამოყენების შესაძლებლობას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: შედგება ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ხულოს აბუსერისძის სახელობის სკოლის ბიბლიოთეკა.

ნაშრომის გამოყენების სფერო:

განათლების მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტები, სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლები პრობლემებით დაინტერესებული პირები.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება: შესავლის სამი თავისა და ექვსი პარაგრაფის დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომში აღწერილი მასალები გავაცანი სტუდენტებს სემინარზე, მასწავლებელთა კონფერენციებს 2019-2020 წლებში.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველი თავის „კომუნიკაციური უნარების განვითარების პრობლემები პირველ პარაგრაფში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის აღწერილია საბაზო სფეროს კლასის მიხედვით მოთხოვნები კომუნიკაციური უნარების განვითარებისთან დაკავშირებით. განხილულია შესაბამისი სტანდარტები განხორციელების შესაძლებლობანი. აღვნიშნავთ, რომ კლასების მიხედვით VII-VIII კლასში მოთხოვნები ახალ 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა გაანალიზებული.

მეორე პარაგრაფში უცხოური ენის სწავლების ახალი მიდგომები“გაანალიზებულია ძველი და ახალი მიდგომები უცხოური ენის სწავლებისთან დაკავშირებით, რამდენად დიდ როლს თამაშობდა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ადრეულ პერიოდში, თუმცა დღეისათვის მიუხედავად მისი ძირითადი ფუნქციის დაკარგვისა, მაინც გამოიყენება ცალკეული მიდგომები ენის შესწავლის თვალსაზრისით, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში საკომუნიკაციო უნარების განვითარებისადმი სტანდარტების მოთხოვნებთან ერთად მოცემულია აქტივობები, დავალებათა სახეები.

&.2.1 გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდი აღწერილია გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდის მნიშვნელობა ინგლისური ენის სწავლებაში, ასევე საუბარია მის მიდგომებსა და სახეებზე, რომელიც სასკოლო განათლებაში იყო გამოყენებული .

&.2.2 კომუნიკაცია, როგორც კომუნიკაციური სწავლების მიზანი“განხილულია კომუნიკაცია, როგორც ტერმინი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე იმ ასპექტებზე თუ რაოდენ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ის კაცობრიობის ცხოვრებაში. ასევე ის ფაქტი რომ კომუნიკაცია, როგორც ერთობლივი ქმედება, წარმოადგენს ზოგადად სწავლების მნიშვნელოვან პრინციპს, გაანალიზებულია ფაქტორები, რომელიც მეტწილად განაპირობებს მეცადინეობის წარმატება/წარუმატებლობას.

მესამე პარაგრაფში ინტერკულტურული და ინტერპერსონალური კომუნიკაცია აღწერილია მოცემული ცნებების დეფინიცია და გამოყენების სფერო, ასევე ის თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს სრულფასოვან და ეფექტურ კომუნიკაციას.

მეორე თავის კომუნიკაციური უნარების სწავლების მეთოდები მეოთხე პარაგრაფში უცხოური ენის სწავლების მეთოდები აღწერილია უცხო ენის ისეთი სწავლების მიდგომები, როგორცაა ჰუმანისტური მიდგომა, კონსტრუქტივიზმი, საუბარია იმაზე თუ რაოდენ მნიშვნელოვანია

ჰუმანისტური მიდგომის დანერგვა საგანმანათლებლო სისტემაში, რათა სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე, რაც შეეხება კონსტრუქტივიზმს, ეს უკანასკნელი ეხმარება მოსწავლეებს ძველსა და ახალ ნასწავლს შორის მოახდინონ ურთიერთკვაშირი და შეძლონ მისი გამოყენება პრაქტიკულად.

მეხუთე პარაგრაფში აქტივობები კომუნიკაციური სწავლა-სწავლებისათვის აღწერილია სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას ემსახურება, განსაკუთრებით მოყვანილია ის აქტივობები, რომლებიც კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება.

მესამე თავის კომუნიკაციური სწავლების გამოცდილება მეექვსე პარაგრაფში კომუნიკაციის პრობლემა პირად პედაგოგიურ კვლევებში შესწავლილია და გაანალიზებულია წარმატებული გამოცდილება და კვლევებში აღნიშნულია რამდენად პრობლემის წინაშე დგას კომუნიკაცია, დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში და რამდენად პროგრესირებს ის მასწავლებელთა საქმიანობაში.


მეშვიდე პარაგრაფში პირადი პედაგოგიური გამოცდილება აღწერილია მომხსენებლის პირადი გამოცდილება, მისი მუშაობა სკოლაში და მიღწეული და მისაღწევი შედეგები.

თავი I. კომუნიკაციური უნარების განვითარების პრობლემები

& 1.ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის I-VI კლასში 2018 წლიდან დაიწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) განხორციელება. 2019 წლის სექტემბრიდან ახალი სასწავლო გეგმა ამოქმედდა VII კლასში, 2020 წლის სექტემბრიდან კი VIII კლასში.

უცხოური ენის სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს უცხოური ენების სწავლების მიზნებს, ამოცანებს, ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ენის ფლობის დონეებს, შეფასების კომპონენტებს, ფორმებს, მეთოდებს, ენის ფლობის სამივე დონე (A, B, C) რომელიც თავის მხრივ იყოფა განშტოებად(A1; A2; B1; B2; C1; C2) სასკოლო კონტექსტიდან ადაპტირების მიზნით ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული დონეს შემდეგ ქვესიმრავლეებში შედის.



ახალი და ძველი სასწავლო გეგმის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა,

ახალი გეგმის სტანდარტები	ძველი გეგმის სტანდარტები
მიმართულება	მიმართულება

ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეპციული უნარები)	მოსმენა
წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)	კითხვა
საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით	წერა
	ლაპარაკი

მოცემული სტანდარტების შედარებით გავიგე ის, რომ ახალ სასწავლო გეგმაში ფართო ადგილი დაკავებული აქვს წერა და ლაპარაკი (პროდუცირებას) და ისინი ერთად კი მოიაზრება, ასევე მოცემულია საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით რაც კიდევ ერთხელ დაეხმარება მოსწავლეებს საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში, ძველ სასწავლო გეგმაში კი მხოლოდ ის ოთხი მიმართულება არის მოცემული რაც ყველა უცხო ენის შესწავლისთვის აუცილებელი კომპონენტებია.

რეალურად არსებული ვითარების შესწავლისთვის ჩავატარე კვლევა

კვლევის მიზანი: ზემომთიან აჭარის სკოლებში უცხოური ენის სწავლებისადმი მოთხოვნების განხორციელების შესწავლა

კვლევის მეთოდები: დაკვირვება, ანალიზი


კვლევაში მონაწილეობდა: 5 სკოლის 5 მასწავლებელი

კვლევის შედეგები: ძირითადად მოსწავლეები ართმევენ ისეთ საკლასო სამუშაოებს თავს რომელიც მოიცავდა კითხვას, ტექსტის გააზრებასა და წერას, მათ გაუჭირდათ მისი გადმოცემა ზეპირმეტყველებაში, რამაც მიგვიყვანა იმ შედეგამდე რომ მაღალმთიან აჭარაში არის პრობლემა უცხოური ენის პროდუცირებაში.

ზემომთიან სკოლებში ძირითადად ორი უცხოური ენა ისწავლება, პირველ უცხოურ ენად ინგლისური მოიაზრება ამჟამად და ეროვნული სასწავლო გეგმითაც პირველი უცხოური ენა ეს არის ინგლისური, ამიტომ ნაშრომში მხოლოდ ინგლისური ენის სწავლებასთანაა დაკავშირებული,

საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლე უნდა ფლობდეს B.1.1 (მოსმენა და კითხვა) და A.2.3 წერა და ლაპარაკი.

უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი მიზანია საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება, იგი დაკავშირებულია უცხოური ენის სწავლების ყველა მიმართულებასთან: კითხვა, მოსმენა წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურით დიალოგი, მედიცინასთან ანუ პრაქტიკულ გამოყენებასთან . შეფასების მიმდინარე (საშინაო საკლასო) დავალებათა კომპონენტები ითვალისწინებს კომუნიკაციური უნარების შეფასებას:



ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტი, კომუნიკაციურ უნარ-ჩვევების ფლობის მეთოდი ხარისხს მოითხოვს.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეები გარკვეული ცოდნით და უნარებით მოდიან, აქედან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნით გავცნობოდით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულებას I-VI კლასებში. აღნიშნული კლასებში უცხო ენა ისწავლება შემდეგი მიმართულებით ზეპირმეტყველება (მოსმენა ლაპარაკი) წერითი მეტყველება (კითხვა წერა) სწავლის სწავლა.

ზეპირმეტყველება აერთიანებს ორ სამეტყველო აქტივობებს : მოსმენა და ლაპარაკი და ამ სამეტყველო აქტივობათა თანხმლებ სტრატეგიებს რომელიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

I-IV კლასებში ენობრივი საკითხების სწავლება ძირითადად მიმდინარეობს პრაქტიკული აქტივობებით, რომლებიც მოიცავს ინფორმაციის მოპოვებას და გაზეპირებს, მონაცემების გაცვლას, სურვილების, მოსაზრებების გაზიარებას.

V-VI კლასების სტანდარტში ზეპირმეტყველების (მოსმენა, ლაპარაკი) მესამე სტანარტის მოთხოვნა არის შემდეგი:

საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით ელემენტარული ეროვნული უნარ-ჩვევების გამოყენება“;

V კლასში : მარტივი დიალოგების და სცენების გათამაშება:

სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;

ნანახისა და გაგონილის გაზიარება;

საუბარი ნაცნობ თემებზე;

ინტერაქციის საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი მიმართვის ფორმების გამოყენება;

ინტერვიუების ჩამორთმევა ნაცნობ თემებზე;

მონაწილეობა დიალოგში;

საკუთარი მოსაზრებისა და დამოკიდებულების გადმოცემა;

VI კლასში: მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევების წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი ან წაკითხული ინფორმაციის შესახებ;

ამზადებს და წარადგენს ზეპირ მოხსენებებს;

მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს;

საუბრობს საკლასო ოთახში შექმნილი ვითარების შესახებ;

მიმართულების ინტერკულტურის მოთხოვნა არის შედარება, პარალელების გავლება, თანატოლებთან სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

მიმართულების სწავლის სწავლა მოთხოვნა არის სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობა ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

შესწავლი ტექსტების ტიპებია; თემატური დიალოგი თამასების წესები, შეტყობინება.

კომუნიკაციური მიზნის განსახორციელებლად საჭირო ძირითადი ენობრივი საშუალებები, საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების მიმართვები, სიტყვათა წყობა, სიტყვების გამოთქმების მოსმენით გარჩევა, სწორი გამოთქმების ჩამოყალიბება, ლექსიკური მარაგის გაძვირება. საუბარი ყოფით და თავისუფალ თემებზე და ა.შ

VII კლასის სასწავლო გეგმით

საბაზო საფეხურზე პირველი უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს ჩამოყალიბოს/განუვითაროს:

უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა გაზიარების უნარები;

უცხოური ენის გამოყენების უნარი პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;

ენობრივ-კულტურულ მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი;

ენების ეფექტიანად სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;

კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით პირველი უცხოური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის, მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში

ამრიგად ზემო მთიან აჭარაში სკოლებში ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დაწყებით საფეხურზე იქმნება წინა პირობა საბაზო საფეხურზე ახალი სასწავლო გეგმით მუშაობის დაწყებისათვის. აღვნიშნავთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მიზანია ენობრივი ცნობიერების განვითარება, ზეპირმეტყველების(მოსმენა, ლაპარაკი) წერითი მეტყველების (კითხვა_წერა) ინტერკულტურის, სწავლის სწავლის მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული სტანდარტების დაუფლება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბების მოთხოვნა გამოყენებულია ყველა მიმართულებაში. კლასების შესაბამისად იზრდება მოთხოვნები მაგალითად:

პირველ კლასში ილუსტრაციების ტექსტები კონკრეტული ინფორმაციის მოსმენა და ზეპირად წარმოთქმა.

მეორე კლასში შესაბამისი ინტონაციით შეკითხვაზე პასუხი, მესამე კლასში ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი. დიალოგი მეოთხე კლასში ილუსტრაციის მიხედვით თხრობის ტექსტის შედგენა მოსალოდნელი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებზე დაუფლებისათვის საჭიროა ინგლისური ენის სწავლების ახალი მიდგომების დანერგვა შესაბამისი მეთოდების აქტივობების გამოყენება, რომლებიც ინგლისური ენის სწავლების ხარისხს გააუმჯობესებს.

&.2 უცხოური ენის სწავლების ახალი მიდგომები

უცხოური ენის სწავლებაზე გავლენა იქონია ინდივიდუალური მობილობის ზრდამ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნამ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა მოვლენებმა, ამასთან ენათმეცნიერებამ აქცენტის გადატანამ ენის პრაგმატულ განზომილებაზე, რომლის მიხედვით ენა აღქმული იქნა არა მხოლოდ როგორც ენობრივი ფორმების სისტემა, არამედ , პირველ რიგში , როგორც ადამიანის ქმედების

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. ენის სწავლების მთავარი მიზანი გახდა სასწავლო პროცესში მაქსიმალურად აქტიური კომუნიკაციური სიტუაციის შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

აღნიშნულმა განაპირობა ენის სწავლების ახალი მიდგომების ძიება, სადაც წამყვანი პოზიციას კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება იჭერს, რომელიც 2006 წლიდან იწყებს გაძლიერებას.

საკითხის შესწავლამ ცხადჰყო, რომ 2006 წლამდე უცხოური ენის სწავლებისას დომინირებდა მთარგმნელობითი, უფრო სწორად გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი დამაბრკოლებლად ითვლება, წყაროების ინტერვიუების ანალიზით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს მეთოდი საკმაოდ შედეგიანი იყო და მისი ზოგიერთი დეტალის გამოყენება სადღეისოდ აქტუალური პრობლემაა.

საკითხს უკეთ წარმოჩენისთვის განვიხილავთ გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდის ზოგიერთ ასპექტს.

&.2.1 გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის თანახმად უცხო ენის სწავლება გაიგივებულია ენის გრამატიკისა და ლექსიკის ათვისებასთან რაც ტექსტების ორმხრივ თარგმანის გზით მოწმდება. უპირატესობა ენიჭება კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებას. ტიპიური დავალებებია:

- სიტყვების და გრამატიკული წესების დაზეპირება;
- ცალკეული წინადადებების თარგმნა;
- მოკლე ტექსტების მშობლიურ ენაზე თარგმნა;
- უცხოენოვანი (მხატვრული) ლიტერატურის კითხვა(ძირითადად კლასიკოსების ნაწარმოებები);

- წაკითხულის წერილობით(ან ზეპირად)გადმოცემა;
- კარნახის წერა და სხვ.

ამ დავალების მიზანია უპირველეს ყოვლისა, ნასწავლ წესებზე დაყრდნობით, მოსწავლეებში გრამატიკულად კორექტული წინადადებების რეპროდუქციის უნარის გამომუშავება.

მთარგმელობით-გრამატიკული მეთოდი სინთეზურ-დედუქტიურია. ეს ნიშნავს, რომ უცხო ენის შესწავლა ცალკეული გრამატიკული წესების დახმარებით მიმდინარეობს, (წესი-მაგალითი; დედუქტიური მიდგომა). ხოლო სწავლების პროცესში ხდება ენის ცალკეული ასპექტების ნაბიჯ-ნაბიჯ დაკავშირება(სინთეზი). ძირითადი ყურადღება ეთმობა არა ენის პრაქტიკულ გამოყენებას, არამედ მისი სტრუქტურის ათვისებას ანუ უცხო ენის შესწავლის მიზანია ფორმალური სისტემის შესახებ ცოდნის დაგროვება და არა ამ სისტემის გამოყენება საკომუნიკაციო დანიშნულებით.

ეს მეთოდი გულისხმობს კლასებში ჰომოგენურ შემადგენლობას. სწავლების ენა- დედაენაა, რომელიც საკლასო მეცადინეობების დროს დომინირებს.

ბუნებრივია, რომ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ვერ უზრუნველყოფდა უცხო ენის მიმართ წაყენებულ ახალ მოთხოვნებს. სწავლების პროცესის ფარგლებში ყოველდღიური, ყოფითი სიტუაციებისა და რეალების და ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტების უგულებელყოფა, მეტყველების და სმენითი აღქმის ენობრივი ქმედებების ჩრდილში მოქცევა, ამწელებდა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას. აუცილებელი იყო როგორც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ისევე მეთოდური და დიდაქტიკური ცვლილებების გატარება.

60-იანი წლების ბოლოსკენ დამოკიდებულება უცხო ენის შესწავლისადმი რადიკალური შეიცვალა. ევროპის ქვეყნების სკოლებში შემოდებულ იქნა ინგლისური ენა როგორც სავალდებულო საგანი. იმავდროულად გაიზარდა უცხო ენის სწავლების მოთხოვნილებაც სასკოლო

განათლების მიღმა ზრდასრულთათვის. შეიცვალა სწავლების მიზნებიც: წინა პლანზე წამოიწია ენის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებამ, მისი მომდევნო პრაქტიკული გამოყენების მიზნით; ადამიანებთან კომუნიკაციის დასამყარებლად, ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად, რადიო და ტელეგადაცემების გასაგებად, უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას ყოფილი სიტუაციების დასადლევად. როგორც უკვე აღინიშნა, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ვერ უზრუნველყოფდა ამგვარი მიზნების მიღწევას, გადასინჯვას მოითხოვდა.

§.2.2.კომუნიკაცია როგორც კომუნიკაციური

სწავლების მიზანი

ახალი კომუნიკაციური მეთოდის შექმნა, ერთი მხრივ შეცვლილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ, ხოლო მეორე მხრივ, 60-იანი წლების ბოლოსთვის ენათმეცნიერებაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა და კერძოდ აქცენტის გადატანამ ნიშნის მესამე - პრაგმატულ განზომილებაზე, რის შედეგადაც ენა აღქმული იქნა არა როგორც მხოლოდ ენობრივ ფორმების სისტემა, არამედ, პირველ რიგში, როგორც ადამიანის ქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს გაგებინება მედიებში თუ ყოველდღიურ მეტყველებაში ეს ცნება ძალიან ხშირად ფართოდ გამოიყენება, მაგრამ მისი ზუსტად დეფინირება ჭირს. მეცნიერულ ტექსტებში კი ამ ტერმინს ხშირად მექანიკურ და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული გამგზავნი-სიგნალი-მიმღები-მოდელებით წარმოსახვენ, რაც გარკვეულწილად კომუნიკაციური აქტის გამარტივებას წარმოადგენს. ა.ა. ლეონტიევი წერდა, რომ სრულიად მცდარია კომუნიკაციის პროცესის კოდირებული შეტყობინების ერთი

ინდივიდიდან მეორეზე გადაცემის სქემამდე რედუცირება.(ციტ.Geiser,1988,50)

უცხო ენის სწავლების დისკურსში გაისნერი განასხვავებს ზეპირ კომუნიკაციას გაკვეთილზე და გაკვეთილს ზეპირ კომუნიკაციაში.

Commeunicare (ლათ.) ნიშნავს ერთად რაიმეს კეთებას, კეთება კი ნიშნავს ქმედებას. შესაბამისად კომუნიკაცია მუდამ აღსაქმელია როგორც გარკვეული(ერთობლივი) ქმედება. ენობრივი ქმედება არ არის ცალმხრივი ქმედება, ის არ არის ოდენ ინფორმაციის ენობრივ ნიშნებში კოდირება, შემდეგ მისი ერთი მიმართულებით ტრანსპორტირება, მიმღები ინსტანციის მიერ ამ ნიშნების დეკოდირება და შემდეგ უკუპროცესი.

ცნობილია, რომ სასკოლო საგნები ძირითად საერთო ე.წ გამჭოლ საგანმანათლებელი მიზნებს ემსახურება(საქართველოში დამკვიდრდა ტერმინი-ეროვნული მიზნები). შესაბამისად უცხო ენის შესწავლასაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ასეთი მიზნების განხორციელებაში ანუ მრავალმხრივ განათლებული და ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამდენად, კომუნაკაციური სწავლების დამკვიდრების შედეგაც სასწავლო გეგმებში გარკვეულწილად შენარჩუნებულ იქნა უცხოენოვანი ლიტერატურული ნაწარმოებების წილი, რომელთა შესწავლასაც უცხოენოვანი კულტურის გაცნობასა და გააზრება-გათავისებისათვის უნდა შეეწყოს ხელი.

კომუნიკაციური სწავლება ყალიბდებოდა განხილული როგორც პოზიტიური ისე კრიტიკული ასპექტების ერთობლიობის გათვალისწინებით, მის ფარგლებში შესაძლებელია ორი ეტაპის გამოყოფა, პირველისათვის ნიშანდობლივია პრაგმატულ-ფუნქციური კონცეფციის პრიმატი (70 წლებიდან 80 იან წლების დასასრულამდე) ხოლო მეორესთვის - ინტერკულტურული კონცეფციის დომინირება(80 წლების დასასრულიდან მოყოლებული დღემდე).

კომუნიკაცია გულისხმობს გარკვეულ სიტუაციაში ერთობლივად საქმისთვის რაიმეს კეთებას (Geisner,1988;45). ე. სლემბეკი მიიჩნევს,რომ

ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ შეეცადონ ურთიერთლაპარაკის შედეგად ვითარების ერთიან გააზრებამდე მისვლა. ამასთან ერთად არ იგულისხმება ყველა ცალკეულ საკითხში შეთანხმების მიღწევა. უთანხმოებისა და საკონფლიქტო ასპექტების გამოკვეთა შეიძლება წარმოადგენდეს საერთო შეთანხმების არსს. საქმის ერთიანად განხილვა გულისხმობს მთქმელისა და მსმენელის როლების პრინციპულ მონაცვლეობასა და ასევე ურთიერთგაგებისკენ მიზანსწრაფვას. (slembeck,1986; 120) ცხადია, ასე გააზრებული კომუნიკაცია არ არის შემთხვევითი და უმიზნო, პირიქით ის აუცილებლად ინტენციური ხასიათისაა. შესაბამისად ენობრივი ქმედება გულისხმობს არა ინსტრუმენტალურ ან მანუალურ ქმედებას, არამედ ლაპარაკ-მოსმენის ქმედებას.

ამრიგად, კომუნიკაცია ნიშნავს ადამიანების ერთობლივ ქმედებას, როდესაც ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან და უსმენენ. კომუნიკაცია არის მთქმელისა და მსმენელის ერთობლივი პროდუქტი (Geisner,1988;45). ცხადია, რომ კომუნიკაცია გარკვეულ შინაარსის ირგვლივ იგება, მაგრამ ამ შინაარსის გაგება-გაზიარებაში ორივე მხარე უნდა იყოს ჩართული.

კომუნიკაციის ასეთი გააზრება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეცადინეობის პროცესზე. თუ კი კომუნიკაცია გაკვეთილისთვის დამახასიათებელ სიტუაციაში მიმდინარეობს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ასრულებენ გარკვეულ ქმედებას კომუნიკაციის აქტს იმდენად, რამდენადაც მსმენელი და მთქმელი როლების მონაცვლეობით ერთობლივად ცდილობენ აზრი შესძინონ გაკვეთილს. ცნება კომუნიკაციის სწორედ ასეთი გააზრება უდევს საფუძვლად კომუნიკაციურ სწავლებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციას ადგილი აქვს არა მხოლოდ უცხო ენის გაკვეთილის დროს, არამედ ზოგადად მეცადინეობის მსვლელობის დროს და თანაც ყველა საგანშიო. ზეპირი კომუნიკაცია გაკვეთილების მიმდინარეობის დროს ეხება ყველა საგნის სწავლებას, მათ შორის სასწავლო მოხსენებაც წარმოადგენს ერთგვარ ლატენტურ დიალოგიურ კომუნიკაციას.(slembeck,1986; 121).

მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ საერთო მიზანი, და ამიტომაც თანამშრომლობენ ამ მიზნის მისაღწევად, რაც ერთმანეთთან კომუნიცირებას გულისხმობს. ცხადია, ეს არის გარკვეულწილად გაკვეთილის ჩატარების და გაკვეთილის ფარგლებში ზეპირი კომუნიკაციის გაიდიალიზებული სურათი. ამიტომ, როდესაც გაკვეთილს როგორც კომუნიკაციურ და კორპორაციულ პროცესს, წარმოვაჩინოთ, საქმე გვაქვს ძალიან გამარტივებულ და შელამაზებულ ხედვასთან, თუმცა მოქმედი პედაგოგების მოსაზრებით საუკეთესო გაკვეთილები სწორედ ასეთ დროს ტარდება, როდესაც ჯგუფი აქტიურად არის ჩართული კომუნიკაციაში, აქვე უნდა ითქვას, რომ ფრონტალური გაკვეთილის ერთ-ერთი არგუმენტი იმისთვის, რომ გაკვეთილის დროს სწავლების მაქსიმალურად მრავალფეროვანი სოციალური ფორმები იქნას გამოყენებული, რაც ერთის მხრივ, მოტივაციის ზრდას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის კომუნიკაციისთვის საჭირო სიტუაციას, რადგან რეალურ გაკვეთილის ფარგლებში, როგორც წესი საქმე მუდამ გვაქვს ასიმეტრულ კომუნიკაციასთან. (Gutenberg,1992;488)

კომუნიკაცია, როგორც ერთობლივი ქმედება, წარმოადგენს ზოგადად სწავლების მნიშვნელოვან პრინციპს, რადგან ეს მეტწილად განაპირობებს მეცადინეობის წარმატება/წარუმატებლობას. მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს გაკვეთილზე სიმეტრიული კომუნიკაციის დამყარება, ანუ მოსწავლეებისთვის, კომუნიკაციურ სწავლებამდე არსებულ ყველა მეთოდში წამყვანი ადგილი გრამატიკას ეთმობოდა, სწორედ გრამატიკას ექვემდებარებოდა სახელმძღვანელოში მოცემული სიტუაციების, ტექსტების, დიალოგების დავალებების შერჩევა. კომუნიკაციური დიდაქტიკის ფარგლებში კი გრამატიკამ წამყვანი ადგილი თვისობრივად სხვა რანგის მოვლენებს დაუთმო, როგორცაა მაგალითად:

- ადრესანტის-ადრესატის ურთიერთდამოკიდებულება
- სამეტყველო ინტენციები
- სიტუაციური როლები

- კომუნიკაციური შინაარსი
- სოციო-კულტურული ინფორმაცია
- კომუნიკაციების სფეროები
- კომუნიკაციის ვერბალური და პარავერბალური ფორმები და სხვ .

აღსანიშნავია აგრეთვე, სასწავლო პროგრამის შედგენისას დასაშვებია ერთგვარი ვარირება: გარკვეულ საფეხურზე შესაძლებელია უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს რომელიმე გრამატიკულ ასპექტს ან ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ხოლო მომდევნო საფეხურზე სიტუაციური კონტექტის ათვისებას, ინტენციების ათვისებას.

ამ მეთოდით შექმნილ პირველ სახელმძღვანელოებში, რომლებსაც მრავალ პოზიტიურ მხარესთან ერთად, გარკვეული ხარვეზებიც აღმოაჩნდათ, ასე მაგალითად: ამ მეთოდით შექმნილ ერთ-ერთ პირველ სახელმძღვანელოში (მაგ; Deutch aktiv, band 1;1979) სამეტყველო ინტენციების შერჩევა ხდებოდა სასწავლო ჯგუფის (Zielgruppe) კომუნიკაციურ მოთხოვნებზე ორიენტაციისთ, ამგვარ ჯგუფად (ანუ პრაქტიულად სახელმძღვანელოს მომხმარებლად) მიჩნეული იქნა დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობა (ძირითადად ე.წ მოწვეული მუშახელი-Gastarbeiter. მიუხედავად ჯგუფის ერთგვარევნობისა ინტენციების შერჩევა საკმაოდ ქაოტურად მოხდა, ადვილი არ აღმოჩნდა ინტენციების დაკავშირება თემასა და ლექსიკურ-გრამატიკულ მასალასთან, თანაც ისე, რომ წარმოდგენილი სიტუაციის ბუნებრიობა არ დარღვეულიყო. ასევე გართულდა რამდენიმე პარალელური სიტუაციიდან ერთ-ერთის შერჩევა, ასე მაგალითად საგნის თვისებების შესახებ ინფორმაციის მიღების ინტენციის სწავლება შესაძლებელია შემდეგ კომბინაციებში:

თვისებების გარკვევა შეკითხვებით+ტანსაცმლის ყიდვა
 (თემა)+მყიდველი(სიტუაციური როლი)+ზედსარტავი
 სახელები(გრამატიკული ფონი)

თვისებების გარკვევა შეკითხვებით+ბინის ძებნა(თემა)+დამჭირავებელი(სიტუაციური როლი)+ზედსართავი სახელები(გრამატიკული ფონი).

ფუნქციონალური კონცეფციის შემუშავების პირველ ფაზაში სახელმძღვანელოთა ავტორები ცდილობდნენ ინტენციის, თემის, სოციალური როლების და გრამატიკული მოვლენების ძირითადად დიალოგებში წარმოჩენას, მაგრამ აღმოჩნდა რომ ყველა გრამატიკულ მოვლენას როდი ჰყავს „ბუნებრივი“ პარტნიორი ინტენციებისა და თემატიკის მხრივ. გარკვეული გრამატიკული მოვლენები დიალოგიურ მეტყველებაში იშვიათად გვხვდება და მათი გამოყენების ძირითადად სიტუაცია არის სწორედ რომ არადიალოგიური, არაზეპირი ტექსტობრივი ჟანრები. ამგვარი მოვლენების დიალოგიზირება კი იწვევდა სწორედ იმ ხელოვნურობას(სინთეტური დიალოგები), რომელიც ახასიათებდა აუდიო-ლინგვალურ მეთოდსაც.

პრაგმატულად ორიენტირებულ სწავლების ფარგლებში აუცილებელია უცხო ენის ისე სწავლება, როგორც იგი გამოიყენება რეალურად ენის მატარებლების მიერ, ბუნებრივ სიტუაციაში ამ მიზნის მიღწევის ცდას სერიოზული ძვრები მოყვა:

- ჯერ ერთი, აუცილებელი აღმოჩნდა წერილობითი ტექსტების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში და რაც მთავარია, კითხვის უნარ-ჩვევის ხელახალი გააზრება. ფუნქციურ-პრაგმატულ კონცეფციამდე გამოყენებულ სახელმძღვანელოებში ტექსტების ამა თუ იმ საფეხურზე გამოყენება დამოკიდებული იყო მათ სირთულეზე, რადგან პრიორიტეტული იყო ტექსტების სტყვა-სიტყვით გაგება და ხშირ შემთხვევაში მათი თარგმნა,

- უცხო ენის სწავლების პროცესის ინტესიური კვლევის შედეგად 80-იან წლებში შემუშავდა გააზრების გრამატიკის კონცეფცია(Verstehensgrammatik) :(Bernstein, 1986; neuner,1984; heringer,1987; westhoff1987;) ყოველდღიური, ფუნქციური, ავთენტური ტექსტების გაგებისათვის არ არის საჭირო ყველა სიტყვის ყველა დეტალის

დეკოდირება (Edelhoff 1985). შესაბამისად შემუშავდა კითხის უნარჩვევის სწავლების ახალი სტრატეგიები, რომლებიც დამოკიდებული იყო კონკრეტულ ტესტობრივ ჟანრებზე:

ტექსტის გლობალური ასპექტების გაგება(მაგალითად, სტატიის, წერილის ძირითადი დედააზრის გაგება). კითხვის ამ სახეს ასევე გაცნობით კითხვას უწოდებენ.

ტექსტის დეტალური გაგება ანუ შესწავლითი კითხვა, რაც გული სხმობს ტექსტის სრულ გაგებას.

ტექსტის სელექციური (შერჩევითი) გაგება, ანუ მთლიანი ტექსტიდან კონკრეტული, ამ მომენტისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და ამოკრეფა(მაგალითად, მატარებლების განრიგში სასურველი მატარებლის გასვლის დროის დადგენა, ან ამინდის პროგნოზის კითხვისას სასურველი ქალაქის ამინდის გაგება და სხვ.) კითხვის ამ სახეს ასევე გადათვალთვარებულ კითხვას უწოდებენ, რაც გულისხმობს ტექსტიდან ენის შემსწავლელთათვის საინტერესო და/ან სასურველი ინფორმაციის მიღებას.

შემუშავდა კითხვის ამ ფორმების შესაბამისი უნარ-ჩვევების გასავითარებელი სავარჯიშოებიც (Neuner 1981) ვინაიდან, კომუნიკაციური დიდაქტიკა ითვალისწინებს (ცდილობს გაითვალისწინოს) ჯგუფის სპეციფიკური მოთხოვნები, სწავლების კულტურული ტრადიციები, ზოგადად სწავლების ჩარჩო-პირობები, ამიტომ იგი თავს არიდებს უცხო ენის სწავლების მტკიცედ დადგენილ დოგმებს. „კომუნიკაციური დიდაქტიკა ეყრდნობა“ღია“ მოქნილ მეთოდურ კონცეფციას, რომელიც უნდა მოერგოს ცალკეულ ჯგუფების ინტერესებსა და პირობებს , რეკომენდირებულია მხოლოდ ზოგადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება ევალუება მასწავლებელს ყველა კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ შინაარსზე, რომელიც მოსწავლეებისთვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, მათ

ინტერესს აღვივებს, ეხმარება მათ უცხო სამყაროს შემეცნებასა და გარკვევაში და იმედროულად ახალი პერსპექტივიდან საკუთარი სამყაროს ახლებურ გააზრებას უწყობს ხელს.

უცხო ენის შესწავლისას მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა შეექმნათ უცხო ქვეყანაზე, რაც მათ სხვისი კულტურის საკუთარ სამყაროსთან შედარების საშუალებას მისცემს. შესაბამისად შერჩეული თემები, ერთი მხრივ, უნდა აფართოვებდნენ მოსწავლის გამოცდილებას, მეორე მხრივ, უნდა აღვივებდნენ ინტერესს როგორც უცხო ისე საკუთარი სინამდვილის მიმართაც. თემების შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან უცხო კულტურის შეფასება მუდამ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ფონზე, საკუთარი პერსპექტივის გათვალისწინებით მიმდინარეობს და ზრუნვა ეროვნულ ღირებულებების ტრადიციების ცოდნაზე, გათავისებაზე, გაფრთხილებაზე, შენარჩუნებაზე აუცილებელია.

ასეთი თემების შერჩევა რომელიც უცხო კულტურასთან ერთად საკუთარსაც წარმოაჩენს იოლი არ არის. თემატიკის დასადგენად შესაძლებელია თავად მოსწავლეების გამოკითხვა, თუ რა აინტერესებთ მათ უცხო ქვეყნის შესახებ. მაგრამ ასეთი გამოკითხვების ღირებულება საკმაოდ დაბალია, რადგან დროის განმავლობაში ინტერესები იცვლება. შესაძლებელია აგრეთვე ისეთი თემების შერჩევა რომლებსაც უნივერსალური ღირებულება აქვთ. ეს ისეთი თემებია რომლებიც ყველა კულტურის ადამიანისათვისაა საინტერესო.

იცვლება გაკვეთილის სოციალური ფორმებიც, ტრადიციულ ფრონტალურ გაკვეთილს(პედაგოგი ლაპარაკობს, მოსწავლეები უსმენენ და მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც დასმულ შეკითხვას უნდა უპასუხონ და როდესაც მასწავლებელი მათ ამის უფლებას დართავს) ემატება სხვა ფორმებიც: ჯგუფური მუშაობა და მუშაობა წყვილში (group and pair work).

იცვლება მასწავლებლის როლი, ის არის დამხმარე სწავლის პროცესში და არა ყოვლისმცოდნე ინსტანცია (გრამატიკულ-მთარგმნელობითი

მეთოდი) და არც მხოლოდ მაგნიტოფონის ჩამრთველი(აუდიო-ლინგვალური მეთოდი).

შეიცვალა სასწავლო მასალის ხედვა, უპირატესობა ენიჭება არა დახურულ, დაპროგრამებულ სასწავლო სისტემას, არამედ ისეთს რომლის ვირირება და შევსება შესაძლებელია მოსწავლეთა სპეციფიკური ინტერესებისა და მოთხოვნების გათვლისწინებით, რაც მასწავლებელთა კვალიფიკაციის განსაკუთრებულ მაღალ მოთხოვნებს უყენებს, ამრიგად კომუნიკაცია სწავლების მიზანის ერთობლივად ერთად ახალი ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარებაა, აქცენტი კეთდება ლაპარაკ-მოსმენაზე რაც ორივე მხარეს სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვას უწყობს ხელს.

კომუნიკაციის დასახული მიზნის მისაღწევად მეთოდებისა და აქტივობების შერჩევა მნიშვნელოვანია ეფექტური შედეგის მისაღწევად.

& 3. ინტერკულტურული და ინტერპერსონალური კომუნიკაცია

კომუნიკაციური სწავლების პრობლემების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ საკითხს, როგორცაა ინტერკულტურული და ინტერპერსონალური კომუნიკაცია.

ინტერპერსონალური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, ანუ კომუნიკაციას იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებთ. ხშირად ურთიერთობისას ადამიანი მეტადაა დამოკიდებული სხვებზე, ზოგ შემთხვევაში კი ურთიერთობა უფრო თანასწორობაა.

ვერბალური კომუნიკაცია- სიტყვების, მეტყველების საშუალებით მიმდინარე კომუნიკაციაა, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია სიტყვების

გარეშე მიმდინარეობს, მანერების, გამომეტყველების, შესტების საშუალებით .

ტერმინი ინტერკულტურული კომუნიკაცია წარმატებით გამოიყენება არა მარტო უცხო ენის სწავლებაში, არამედ სხვა მრავალ დარგსა და სფეროში. ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეფცია გულისხმობს უცხო ენის შემსწავლელის უნარს მოახდინოს საკუთარი და უცხო კულტურის დიფერენცირება, პატივისცემით მოეკიდოს უცხო კულტურას.

უცხო ენის სწავლებისათვის ინტერკულტურული კომუნიკაცია გულისხმობს:

- უცხო სადმი გაზრდილ მგრძნობელობას;
- ტაქტს ინტერკულტურული ურთიერთობისას;
- საკუთარის და უცხოს პერსპექტივის განსაზღვრას;
- ტოლერანტობას ინტერკულტურული და მულტიკულტურული

სფეროებისადმი (Volkmann et al. 2002: 14).

უცხო ენის გაკვეთილისთვის ეს ნიშნავს როგორც კოგნიტურ, ასევე ქცევაზე ორიენტირებულ სწავლებას. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის მონაწილეები სხვადასხვა იდენტობის მატარებელი პირები არიან საკუთარი სოციალური ასაკობრივი პროფესიული და ა.შ. გამოცდილების მიხედვით რაც თავის მხრივ ზემოქმედებს აღქმისა და შემეცნების პროცესების ურთიერთგანსხვავებულად წარმართვაზე, ამის გამო სიფრთხილვა საჭირო სასწავლო ტექსტების შერჩევისას, განსაკუთრებით თუ გვსურს თავიდან ავიცილოთ უხერხულობა და არასასურველი შეკითხვები ენის შემსწავლელთა მხრიდან. ამ კონტექსტში არანაკლებ გასათვალისწინებელია:

ა) ენის შესწავლის საფეხური რაც უფრო დაბალია იგი მით უფრო ნაკლებია ინდივიდის ინტერკულტურული გამოცდილება და საჭირო ხდება მისთვის ამ ტიპის ინფორმაციის უფრო დიდი დოზით მიწოდება; რაც უფრო მაღალია ენის შემსწავლელის ენობრივი კომპეტენცია, მით უფრო მაღალია მისი ინტერკულტურული კომპეტენცია;

ბ) შესასწავლი თემატიკის რელევანტურობა ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის. ბ. მიუღერ ჟაკიე გვიჩვენებს ყოველდღიურობასთან მისადაგებული იმ თემების შეტანას კურიკულუმში, რომელიც ენის შემსწავლელისთვის საკუთარი გამოცდილებიდანაც ახლობელია, მაგალითად: ოჯახი, სახლი, ბავშვი, ავტომანქანა, დაპირება, უარყოფა, წარდგენა, ზრდილობა/უზრდილობა. პასუხისმგებლობა სამუშაო თავისუფალი დრო და ა.შ თუმცა გამოსარიცხი არ არის საშიშროება, რომ ყოველდღიურმა თემატიკამ გააჯეროს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მიღმა დატოვოს ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის უფრო მნიშვნელოვანი თემები. ამიტომ საჭიროა თემატიკა ისე შეირჩეს, რომ კონკრეტული ტექსტების მეშვეობით შემსწავლელს მიეწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას უფრო მეტის შესწავლის მოტივაციას გაუღვიძებს, ამასთან კავშირში გერმანელი დიდაქტიკოსი ჰერმან ფუნკი ავითარებს მოსაზრებას, რომ გეგმის შედგენა ციკლური პროგრესის პრინციპით უნდა მოხდეს - ნაცნობიდან უცნობისკენ, ინდივიდუალურიდან სისტემურისკენ და ა.შ ასევე ინტერაქტიურობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს მიწოდებული მასალის სრულყოფა, გრამატიკული სახის ინფორმაციისა და შესაბამისი ლექსიკის მოშველიებით (Funk 1999:97).

დისკუსიამ ინტერკულტურული სწავლების თემატიკის შესახებ ფართო მასშტაბი შეიძინა და მასში მრავალი დიდაქტიკოსი ჩაერთო. კლაუს ალტმაიერი გვთავაზობს ქვეყანათმცოდნეობის პლანში გასააზრებელ თემებს, როგორცაა: ადგილი, დრო და ღირებულებები. მის პოზიციას ეხმიანება ანდრეა რამინის ჩამონათვლი; ადგილი, დრო, დისტანცია, სამუშაო და კლიმატი (Ramin 1989:232). გერჰარტ ნოინერისთვის კი ამოსავალია ენის შემსწავლელის გამოცდილებაზე დაყრდნობა, რადგან სწორედ გამოცდილებაა. მისი აზრით, ინტერკულტურული შედარების საფუძველი NEUner 1989:360). საკუთარ გამოცდილებაში ის გულისხმობს არა ერთი ინდივიდის, არამედ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებას ანუ იმას რაც უნივერსალურია და ეგზისტენციალურია ადამიანებისთვის

განურჩევლად მათი ეროვნებისა. ამასთანავე ამ გამოცდილების თემატიზაცია-თემატურად დალაგება-სხვადასხვანაირად ხდება სხვადასხვა კულტურაში. გერჰარტ ნოინერის ჩამონათვალში ფიგურირებს თემები:

1. დაბადება და გარდაცვალება;
2. პირადი მონაცემები;
3. ოჯახური თანაცხოვრება(ნათესაობა);
4. საზოგადოებრივი ურთიერთობები;
5. ურთიერთობანი; (მეგობრობა/ სიყვარული);
6. საცხოვრებელი პირობები;
7. გარემო სამუშაო;
8. განათლება/აღზრდა;
9. დასვენება/თავისუფალი დრო/ხელოვნება/ გართობა;
10. მოხმარების სფერო;
11. ტრანსპორტირება/მობილობა(ადგილის გაგება);
12. მასობრივი კომუნიკაცია (მედია);
13. ჯანმრთელობის დაცვა;
14. დროის აღქმა.

საგულისხმოა რომ სწავლების ინტერკულტურული მეთოდი ერთნაირად ვრცელდება როგორც ცალკეული თემების შესწავლაზე. ისე მათთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული მასალის მიწოდებაზე. ძირითადი მოთხოვნა პრაქტიკული გრამატიკისადმი ის არის რომ თემატიკა დავალებად მიცემული შინაარსის კონტექსტისგან განყენებული კი არ იყოს, არამედ ამ უკანასკნელთა ორგანულად შერწყმული და მის სოციოკულტურულ კონტექსტში ორგანულად „ჩაწული -ხელს უწყობდეს თემის სრულყოფილად ახსნას და შესაბამისად ამაღლებდეს შემსწავლელის მოტივაციასაც, მეორე მხრივ, ის უნდა ეფუძნებოდეს ასევე შედარება-შეპირისპიერებას ანუ კონტრასტული გრამატიკის პრინციპებს და შემსწავლელის მოტივაციასაც. მეორე მხრივ

შემსწავლელის გონებაში ასოცირდებოდა მშობლიური ენის ანალოგიური გრამატიკული შინაარსის ფორმებთან და ნორმებთან.

სხვა სახის პრობლემებს გვიქმნის ლექსიკური მარაგის მიწოდება, რადგან სიტყვა თავისი სიმბოლიკით უკავშირდება შესაბამისი ენის კულტურას, შეუძლებელია დავჯერდეთ მხოლოდ მის პირდაპირ თარგმანს ინტერკულტურული კომუნიკაციისას ხშირია შემთხვევა როცა მოსაუბრე კონტექსტს ვერ იგებს. რადგან შესაბამისი კონცეპტი თავის კულტურაში არ გააჩნია, არ აქვს ანალოგიური შესაბამისი სიტყვა მშობლიურ ენაში. ამიტომ საჭიროა, რომ ენობრივ-კულტურული პროგრესის პარალელურად განვითარდეს ლექსიკის დონეზე კონტრასტული სემანტიკა, რაც უფრო ცოცხლის აზრით, იძლევა იმის საშუალებას რომ სიტყვების შესწავლა ხდებოდეს კომპლექსურად, კონტექსტის მეშვეობით, ლექსიკური ერთეულის კულტურული მარკირებულობის გათვალისწინებით (zeuner 1997:3). კონცეპტუალური ქაოსის თავიდან ასარიდებლად საჭიროა, რომ თითოეული სიტყვა და ცნება ახსნილი იყოს კონტექსტურად და არა მხოლოდ ლექსიკონში მითითებული ეკვივალენტით კონცეპტუალური განსხვავებულობების წინ წამოწევა უნდა ხდებოდეს ინგლისური ენის გაკვეთილზე, პედაგოგმა უნდა შეძლოს მათი ახსნა, ენის შემსწავლელმა რეფლექტირება.

ამრიგად ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება გულისხმობს უცხო ადამიანსა და შეცნობის უნარის შეძენას სხვადასხვა პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხო შორის.

ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია რომლის დროსაც ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გაკვეთილზევე ხდება შეძენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია.

ინგლისური როგორც უცხო ენის შესწავლა გულისხმობს არა მარტო ინგლისური ენობრივი კომპეტენციის დაუფლებას არამედ

ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურული ეკონომიკური საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის ათვისებას, აუცილებელია ენის შემსწავლელმა სხვადასხვა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით შეძლოს ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან ღირებული და სწორი კომუნიკაცია, ამისათვის კი საჭიროა რომ უცხო ენის სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს ქვეყანათმცოდნეობითი სწავლების როლი, რომელიც უცხო ენის სწავლების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს, თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი ამ ორიდან რომელიმე ასპექტის გარეშე წარმოუდგენელი და არასრულყოფილია, ყოველი სავარჯიშო თუ ტექსტი ენობრივ ცოდნასთან ერთად ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციასაც იძლევა, ამასთან საკუთარი ქვეყნის ისტორიულ წარსულის ტრადიციების, სულიერი ფასეულობების ცოდნა აუცილებელია და შესაბამისი ლექსიკის დაუფლება ინგლისურ ენაში.

თავი II. კომუნიკაციური უნარების სწავლების მეთოდები და აქტივობები

§ 4. უცხოური ენის სწავლების მეთოდები(მიმოხილვა)

უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში სიტყვას მეთოდი ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი მეთოდი, როგორც მეთოდური სისტემა საგნის სწავლების გარკვეულ ეტაპზე. მეორე მეთოდი, როგორც გზა და საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად. უცხო ენის სწავლებისთვის თანამედროვე მეთოდების შერჩევის დროს სავალდებულოა ისეთი კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს თავისუფლად და კომფორტულად იგრძნობს.

➤ მოსწავლის ინტერესების სტიმულირებას და მათში უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენების სურვილის გამოწვევას.

- მოსწავლის მთლიანად ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, მისი ემოციების, გრძნობების და შეგრძნებების ჩართვით
- მეტყველების კოგნიტური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას.
- მოსწავლის გააქტიურებას და სასწავლო პროცესში მის ჩართვას მთავარი მოქმედი პირის სტატუსით, ამ პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად.
- ისეთი სიტუაციების შექმნას სადაც მასწავლებელი არ იქნება ცენტრალური ფიგურა.

მეოცე საუკუნეში უცხო ენის სწავლებაში ბევრი და მრავალფეროვანი მიდგომის აღმოცენა და დამკვიდრება მოხდა. 60-70 წლებში შემუშავდა ე.წ სწავლებისადმი ჰუმანისტური მიდგომა, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სწავლება იყო ორიენტირებული მოსწავლეზე, მის ინტერესებზე, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებზე, დაინერგა **ინტერაქტიული სწავლების** სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიურ სწავლებას პედაგოგიკაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების, ახალი სტრატეგიები შემოაქვს, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტი, მისი აქტიური მონაწილეა, სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის არსებული ცოდნა , პირადი გამოცდილება. სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას- **კონსტრუქტივიზმს**. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ვასწავლოთ

ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება.

უცხო ენის სწავლების მიდგომები

გლობალური-უცხო ენის სწავლების სტილი „ზევიდან ქვევით“ გულისხმობს ენის სწავლებას არა მეტყველების ცალკეული სახეობების მიხედვით, არამედ ის უნდა იყოს დაფუძნებული ერთიანი მასალების ბლოკზე, რომელიც დამუშავდება მოსწავლეების მიერ მთლიანად ზევიდან ქვევით მასალის მთლიანი აღქმიდან მისი შემდგომი დანაწევრებით და გააზრებით.

შედეგზე ორიენტირებული სწავლება- იგულისხმება რომ მოსწავლეებისათვის სწავლების გარკვეული პერიოდი მთავრდება რაიმე ენობრივი პროდუქტის შექმნით, ეს შეიძლება იყოს გამონათქვამი, დიალოგი, წერილი და ა.შ.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია, მინი ლექცია, დისკუსია თხრობა, საუბარი(სოკრატეს მეთოდი) და სხვა.

დისკუსია/დებატები-ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში, ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს მოსწავლეს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთებას უცხოურ ენაზე,(კომუნიკაცია).

ჯგუფური მუშაობა-ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს, დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის

მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება (PBL)- სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (corporative) სწავლება- იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელის საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ვერისტიკული მეთოდი- ეფუძნება მოსწავლის წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

შემთხვევის ანალიზი (case study)- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

ასოციაციური რუკა- ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება უცხო ენის გაკვეთილზე ე.წ პროვოცირების ფაზაში.

როლური და სიტუაციური თამაშები- სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები მოსწავლეებს სსუალებას აზლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც

დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს მათ საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი-ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური თვალსაზრისით მივაწოდოთ მოსწავლეებს, შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის ისე მოსწავლის მიერ, ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დიდუქცია, ანალიზი და სინთეზი

სწავლების ინდუქციური მეთოდი-განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდ ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წსრმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურად გაშუქება. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი- ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. მასწავლებელს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება- მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

მეორე ენის ათვისების კომუნიკაციურ მიდგომასა და სწავლება სწავლის კონსტრუქტივისტულ პარადიგმას შეესაბამება ისეთი სასწავლო სტრატეგიები, როგორცაა: ბუნებრივი მიდგომა და სრული ფიზიკური რეაქცია. ბუნებრივი მიდგომის მეორე საფეხურია ადრეული პროდუცირება. ამ საფეხურზე ბავშვები დიახ ან არა პასუხებს გამოთქვამენ. ასევე, პასუხობენ ერთი ან ორი სიტყვით. ბუნებრივი მიდგომა მეტად ეფექტური სტრატეგიაა. მისი გამოყენება ადვილად არის შესაძლებელი გარემოში არსებული რეალური ნივთებით, ხელთ არსებული თვალსაჩინოებით, ილუსტრაციებით და სხვა. იგი არ მოითხოვს ძვირადღირებულ სასწავლო რესურსებს და წიგნებს. გაკვეთილის შინაარსი საინტერესო თემების გარშემო აიგება და არა გრამატიკული ელემენტის მიხედვითასეთი თემების მაგალითებია: ფერები, საკვები, მეგობრები, სამუშაო და სხვ. მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთად შეუძლიათ საინტერესო თემების მოფიქრება.

დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეებს ინფორმაცია დიალოგის ფორმით მიეწოდებათ. ამ დროს მასწავლებელი მოსწვლეს აცნობს გაკვეთილის სასწავლო მიზნებს; ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი ერთად მონაწილეობენ ახალი ცოდნის აგებაში; ხორციელდება პროგრესის მონიტორინგი; მასწავლებელს და მოსწავლეებს მოჰყავთ მაგალითები; ხდება ახალი მასალის დემონსტრაცია და ლეგიტიმაცია.

დიდაქტიკური სწავლების დროს მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა? სად? რატომ?

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ და არა ინფორმაციულ შეკითხვებს. იგი მოსწავლეებს ინფორმაციას კი არ აძლევს, არამედ მათ სთხოვს აზროვნებას, რათა თავად მივიდნენ პრობლემების გადაწყვეტამდე.

ამ დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს პრობლემასთან დაკავშირებით, თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიით, დებატებით, პრობლემური შეკითხვების დასმით.

კეთების სწავლების დროს მოსწავლეებს ზუსტი ინფორმაცია მიეწოდებათ

ექსპერიმენტისათვის ან სიმულაციისათვის. კეთებით სწავლების მთავარი პრინციპებია: მოსწავლებისათვის პრაქტიკული დავალების მიცემა. მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება.

ხარაჩოს მეთოდი- მასწავლებელი ისეთ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელთა დამოუკიდებლად შესრულებაც გაუჭირდებათ. მასწავლებელი სხვადასხვა ხერხით ეხმარება მოსწავლეებს(შესაბამისი ინსტრუქციის მიწოდებით, თვალსაჩინოების გამოყენებით, მაგალითების მოყვანით, ლიტერატურის მითითებით და ა.შ) დახმარების წილს თანდათან ამცირებს და საბოლოოდ, მოსწავლეები თავად ართმევენ თავს დავალებას.

არტიკულაცია- საკუთარი შეხედულებების ვერბალურად გამოხატვა და მათი დაცვა, რაც ეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში და ზოგადად კომუნიკაციური უნარების განვითარებაში;

რეფლექსია- მოსწავლეები ანალიზებენ სწავლის პროცესს, ეს ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სხვაგვარად ამ პროცესს მეტაკოგნიცია, ანუ სწავლის პროცესის გაანალიზება ეწოდება; კონსტრიქტული

მიდგომისას მოსწავლე მასწავლებელთან ერთად არის სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე .

ამრიგად კომუნიკაციის სწავლებაში ეფექტურია ისეთი მეთოდების გამოყენებაც როგორცაა: სოკრატული მეთოდი, არტიკულაცია, კეთებით სწავლება, ახსნა-განმარტების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული, დიდაქტიკური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი და სინთეზი, როლური თამაშები.

8.5. აქტივობები კომუნიკაციის სწავლა-სწავლების

I აქტივობა. ადგილი, სადაც ვცხოვრობ

მიზანი: ინფორმაციის შეგროვება კომუნიკაციის გზით და ფაქტებსა და მოვლენებზე საერთო შეხედულებების ჩამოყალიბება.

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია თანამშრომლობითი ურთიერთობა როგორც კლასელებთან ასევე სხვა ადამიანებთან, ამასთანავე შეძლებენ ინფორმაციის დახარისხებას და სასურველი ინფორმაციის გამოყენებას კომუნიკაციისთვის.

მეთოდი ჯიგსოუ- თანამშრომლობით, მიღწეული შედეგი რესურსები სამუშაო ფურცლები, ფოტოები, პოსტების აღწერა:

საფეხური #1 პოსტერი სხვადასხვა ინფორმაციით I ჯგუფის გარემო ჩემს სოფელში.

საორენტაციო კითხვები სოფლის მცხოვრებლებს.

- სად მდებარეობს?

- როგორი იყო ეს ადგილი 20 წლის წინათ?
- რა მცენარეები ხარობს?
- რა ცხოველები ცხოვრობენ
- როგორი კლიმატია?
- კლიმატის ცვლილება შენიშნეთ

II ჯგუფი. სოფელში გავრცელებული საქმიანობა

საორენტაციო კითხვები სოფლის უხუცესებს:

- რა საქმიანობას მისდევდნენ სოფელში თქვენს ბავშვობაში?
- რითი ირჩენდნენ თავს(რა შემოსავალი ქონდათ)?
- რა საქმიანობა შემორჩა დღეს, რომელიც შემოსავლიანია?
- რომელიც ოჯახს სჭირდება აუცილებელი.

II აქტივობა. როლური თამაში-(role play)

ტურისტები და ადგილობრივი მაცხოვრებელი

მოსწავლეები განაწილდებიან ორ ჯგუფად, როგორც ტურისტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები,

პროცედურა: ადგილობრივი მაცხოვრებლები ესაუბრებიან თავიანთი რაიონის მოკლე ისტორიაზე, შემდეგ კი აჩვენებენ სურათებს ღირსშესანიშნავი ადგილების და უხსნიან მათ დანიშნულებას.

აქტივობის შედეგი: მოსწავლეები შეძლებენ მათთვის უკვე კარგად ნაცნობი ისტორიის გახსენებას და დიალოგის გამართვას მის ირგვლივ.

III აქტივობა. გამოკითხვა წყვილებში (peer-interview)

გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები.

საწყის ეტაპზე სასურველია მოსწავლეებს მიაწოდოთ გამზადებული კითხვები ჰენდაუტების სახით ამა თუ იმ თემის ირგვლივ.

აქტივობის პროცესი: მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად, ინტერვიუვერი და რესპონდენტი, ისინი აწარმოებენ გამოკითხვას და აკეთებენ რეპორტს მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. შესაძლებელია როლების გაცვლა.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ საკმარისი გამოცდილება თვითონ შეადგინონ კითხვები, რომლებსაც გამოიყენებენ ინტერვიუსთვის. კითხვები შეიძლება კავშირში იყოს როგორც ლექსიკურ თემატურ ერთეულთან, ასევე გრამატიკულ მასალასთან.

აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ ურთიერთდაკვირვების და თვითშეფასების რუბრიკას, რომლის საშუალებით მათ შეეძლება შეაფასონ საკუთარი ცოდნა, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაეხმარება მათ შემდგომი სწავლის დასაგეგმად.

IV აქტივობა. მთხრობელობა (story-telling)

მთხრობელობა სალაპარაკო უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, ზრდის მათ შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობას და თავდაჯერებულობას. არსებობს მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მთხრობელობის გაუმჯობესებას. წარმოგიდგინთ ჩემ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აქტივობას. მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 4-5 კაციან ჯგუფებად, აწვდის მათ 3 თემას. მაგ, 1. ჩემი ოცნების არდადეგები (my dream holidays), ჩემი ოცნების ქალაქი (my dream city), ჩემი საუკეთესო გასული არდადეგები (my best past vacation). მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ თემას და ამზადებენ ერთწუთიან საუბარს რუბრიკის მიხედვით (მოსწავლეებს წინასწარ ურიგდებათ რუბრიკები, რომლებშიც მოცემულია ის კომპონენტები, რაც უნდა გაითვალისწინონ მათ საუბრის მომზადების პროცესში (კომპონენტები: 1. საუბრის ხანგრძლივობა, 2. შინაარსი-მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების გამოყენება 3. მკაფიო და გასაგები საუბარი 4. შესტიკულაცია და ა.შ) თითოეული ჯგუფი ირჩევს საუკეთესო თემას და თემის ავტორს უწევს კლასის წინაშე საკუთარი თემის მოყოლა. პრეზენტატორი ფასდება რუბრიკის მიხედვით.

V აქტივობა. დისკუსია/დებატები (discussions/debates)

დისკუსია 21-ე საუკუნის ყველაზე გავრცელებული საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. არსებობს თავისუფალი დისკუსია (free discussion), რომელშიც მასწავლებლის აქტიურობა მინიმალურია და დამკვირვებლის როლით შემოიფარგლება და სტრუქტურირებული (structured discussion), რომელშიც მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო თემის/კითხვების შერჩევა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრებოდეს მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობა საინტერესო და სახალისოცაა, ვინაიდან ეს აქტივობა მოითხოვს ფიზიკურ მოძრაობას, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას თავი დააღწიონ მერხებთან ჯდომის მომაბეზრებელ რუტინას.

VI აქტივობა. სად დგახარ? Where do you stand?

მასწავლებელი კლასის ერთ კუთხეში ათავსებს წარწერას „ვეთანხმები“ (agree), ხოლო მეორე კუთხეში წარწერას „არ ვეთანხმები“ (disagree). მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ სხვადასხვა მტკიცებულებებს (statements) კონკრეტული თემის ირგვლივ, იღებენ გადაწყვეტილებას, ეთანხმებიან თუ არ ეთანხმებიან მოცემულ მტკიცებულებას, მოძრაობენ კლასში და იკავებენ თავიანთ ადგილს შესაფერის წარწერასთან. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საშუალებას არგუმენტებით დაასაბუთონ მიღებული გადაწყვეტილება.

აქტივობები კომუნიკაციური ცნობიერების გაფართოებისთვის

მიზანი: კომუნიკაციური ცნობიერების ამაღლების გზებისა და საშუალებების დაუფლება.

აქტივობა I -გავიგოთ მეტი

შედეგი: კომუნიკაციური ცნობიერების გაფართოება.

მეთოდი: როლით თამაში.

ინსტრუქცია: გთხოვთ გაინაწილოთ როლები: ა) ამბავის მთხრობელი;
ბ) ორი მსმენელი.

ამბავის მთხრობელი ყვება ამბავს.

მსმენელები ვერ იგებენ და სვამენ შეკითხვებს

ამბავის მთხრობელი ამარტივებს ამბავს (შეუძლია გამოიყენოს ჟესტი, სიტყვის ახსნა)

მსმენელები, თუ გაიგეს იმეორებენ, თუ არა კვლავ შეკითხვებს სვამენ.

ასე გაგრძელდება ვიდრე უკეთესად არ გაიგებენ და არ გადმოსცემენ მოსმენილს.

პროცედურა: ინსტრუქციის შესაბამისად აქტივობის შესრულების შემდეგ მასწავლებელი უსვამს შეკითხვებს როლით მოთამაშეებს.

• გქონდათ თუ არა გამოცდილება, რომელიც კომუნიკაციაში დაგეხმარათ?

• რითი ეცადეთ კომუნიკაციის გაუმჯობესებას?

• როგორ შესძელით გაგეგოთ უკეთ

შეკითხვებზე პასუხის შემდეგ გაკეთდება კომენტარი.

აქტივობა II. შემეცნება შედარების საშუალებით

მეთოდი: გუნდური განხილვით დასკვნის გაკეთება

ინსტრუქცია: გთხოვთ გაიყოთ ორ გუნდად. ერთი გუნდი საუბრობს გუნდური დავალების შესრულებაზე თავიანთი გამოცდილების შესახებ.

მეორე გუნდი აკეთებს ინტერპრეტაციას რა იყო მსგავსი მათ გამოცდილებაში, და რას აკეთებდნენ განსხვავებულად.

გაიმართება დიალოგი: რა ისწავლეს აქტივობის შესრულებით

აქტივობა III. გახსენება და მომავლის ფიქრები ინდივიდუალური მუშაობა

ინსტრუქცია: მოსწავლე იხსენებს თავისი წარსულიდან რაიმე შემთხვევას და თავის თავს უსვამს შეკითხვებს: რა იყო მისაღები, რა იყო მიუღებელი.

მომავალში მსგავს შემთხვევაში რას გააკეთებენ, რა იქნებოდა სასარგებლო მომავლის ფიქრებში?

ბოლოს გაიმართება მსჯელობა: „წარსულის გამოცდილებით რა შეცვალეს მომავლის ფიქრებში.

ამ აქტივობების შესრულების შედეგი არის შემდეგი: მოსწავლეები აცნობიერებენ კომუნიკაციური ცნობიერების არსს დაეუფლებიან მისი გაფართოებისთვის ზოგიერთ გზას, საშუალებას.

აქტივობების შესრულება შეიძლება რამდენჯერმე, პროცედურა იგივე იქნება, შეიძლება საუბრის თემატიკა და პრობლემები.

აქტივობა IV. როგორ ვხედავ ჩემს თავს და როგორ მხედავენ სხვები.

მიზანი: საკუთარ თავზე საუბარი სხვების შეხედულებების გათვალისწინებით

ინსტრუქცია: ა) მოსწავლე სახლში შესრულებულ დავალებას წარმოადგენს. ერთ ფურცელზე დაწერილია საკუთარი დახასიათება, მეორე ფურცელზე დაწერილია მშობლის, ან ბებია-ბაბუის, ან და-ძმის, მეზობლის მიერ მისი დახასიათება.

ბ) კლასის მოსწავლეები დაწერენ თავიანთ დახასიათებას და ერთ-ერთი მოსწავლის დახასიათებას. მოსწავლე წაიკითხავს თავის დახასიათებას, ვისაც მასზე აქვს დაწერილი, ის წაიკითხავს.

გაიმართება დიალოგი: რას გაიზიარებს, რას გაითვალისწინებს.

მსჯელობა: საკუთარ თავზე საუბრისას რამდენად ვითვალისწინებ სხვის შეხედულებას ჩემზე.

აქტივობის შედეგი: მოსწავლე ეუფლება საკუთარ თავზე საუბრის ლექსიკას, შეუძლია საკუთარ თავზე სხვებთან კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

აქტივობა V. კრიტიკული ინციდენტი

მიზანი: კომუნიკაცია დადებითი სასწავლო ატმოსფეროს შესაქმნელად.

ინსტრუქცია I. გთხოვთ მოიფიქროთ სიტუაცია, რომელიც ასახავს გაუგებრობას ან კონფლიქტს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასასიამოვნო შედეგი და წარმოადგინეთ.

ინსტრუქცია II. სიტუაცია შეაფასეთ და გამოხატეთ მოსაზრება; როგორ ავიცილოთ არასასიამოვნო შედეგი, რომ კლასში დადებითი სასწავლო ატმოსფერო შეიქმნას.

ინსტრუქცია III. „ექსპერტები“ გამართავენ მოსაზრებას შემოთავაზებული მოსაზრების შესახებ.

რჩევა, შეგიძლიათ გამოიყენოთ სიტყვები: friendship-მეგობრობა,, relationship-ურთიერთობა, argument-კამათი, quarrel-ჩხუბი, peaceful-მშვიდობა, love-სიყვარული, feelings-გრძნობები.

სიტყვები შეიძლება იყოს:

- კრიტიკული ანალიზი
- ჩემი გრძნობები, როცა ინციდენტს შევესწარი ან გამოვიწვიე, ან ჩავერიე

- ვიგრძენი რომ რაღაც გავაკეთე კარგად, ან დავუშვი შეცდომა.

- რამ გამაკვირვა, ან რას არ ველოდით?

- რაში დავინახეთ გამოსავალი

- რითი იქნება ჩემი ვერსია სასარგებლო?

აქტივობის შედეგი: მოსწავლეებს გაუმდიდრდებათ ლექსიკა, რომელიც მისცემს კრიტიკულ ვითარებაში კომუნიკაციის შესაძლებლობას, დაშვებული შეცდომების გაანალიზებას, გაძლიერებენ მოსმენის კულტურას.

აქტივობა VI. თათბირი საკლასო ოთახში.

მიზანი: მოსწავლეები დაეუფლონ ისეთ ლექსიკას რომლითაც შეძლებენ წინააღმდეგობრივ საკითხებზე გაცვალონ იდეები, გააკეთონ

სხვადასხვა მოსაზრებები ანალიზი, ერთმანეთს შეუთანხმონ სამომავლო ნაბიჯები.

მეთოდი: გუნდური მოშაობის კომუნიკაციით თანხმობამდე მისვლა.

ინსტრუქცია: კლასის ერთი მოსწავლე თავისი საქციელით არ აძლევს საშუალებას სხვა მოსწავლეს გაკვეთილზე იმუშაოს ნორმალურად

მოიწვიეს საკლასო თათბირი.

გთხოვთ მიიღოთ საკლასო თათბირში მონაწილეობა და თქვენი მოსაზრებების გამოხატვისას გაითვალისწინეთ:

- კომუნიკაციის დროს ესაუბრეთ არა მხოლოდ ერთ მოსწავლეს, არამედ ერთმანეთსაც.

- გამოხატეთ ემოცია

- ფოკუსირებული იყავით განსახილველ საკითხზე

- მოუსმინეთ და გააანალიზეთ სხვა მოსაზრება

- გააკეთეთ არგუმენტირებული დასკვნა

- თუ კომუნიკაციისთვის ლექსიკური მარაგი არ გყოფნით გამოიყენეთ ლექსიკონი, რომელიც მასწავლებელმა შემოგთავაზათ გაკვეთილის დასაწყისშივე.

ჯოჯარის ფანჯარა-(1955) დიალოგისათვის

ღია არე	
დაფარული	

აქტივობის შედეგი: მოსწავლე შეძლებს შესწავლილი სიტყვები გამოიყენოს განსხვავებულ სიტუაციაში კომუნიკაციისთვის

ამრიგად კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განსავითრებლად ეფექტურია ისეთი აქტივობების შერჩევა, რომელიც მოსწავლეთა ინტერესს იწვევს და დკავშირებულია მათ საკლასო და ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

ამგვარი მიდგომები ხელს უწყობს კომუნიკაციის დროს ანალიტიკური აზროვნებისთვის საჭირო ლექსიკის დაუფლებას და მის გამოყენებას სხვადასხვა რთულ სიტუაციებში.

კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის შესაძლებელია ისეთი აქტივობების გამოყენება, როგორცაა: როლური თამაშები, თათბირი საკლასო ოთახში, შემეცნება-შედარება, როგორ ვხედავ ჩემს თავს და როგორ მხედავენ სხვები, კომუნიკაცია სხვა ეროვნების თანატოლებთან, კრიტიკული ინციდენტი, გახსენება და მომავლის ფიქრები (ინდივიდუალური სამუშაო), გავიგოთ მეტი, მთხრობელობა და გამოკითხვა წყვილებში.

თავი III. კომუნიკაციური სწავლების გამოცდილება.

§ 6. კომუნიკაციის პრობლემა

პირად პედაგოგიურ კვლევებში

დღეისათვის უცხო ენაზე კომუნიკაციის პრობლემა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, მათ შორის ჩემი პირადი გამოცდილებიდან უნდა აღვნიშნო, რომ ის თავიდან ბევრ წინააღმდეგობას ქმნის საგაკვეთილო პროცესის აქტიურად და მრავალფეროვნად ჩატარებაში. სწორედ ამიტომ დავისახე მიზნად მოსწავლეებისთვის მათი დონისა და ცოდნის შესაბამისად შემეთავაზებინა ის აქტივობები რაც დაძლევადი იქნებოდა მათ მიერ, რაც მათი საკომუნიკაციო სიტყვათა მარაგის შესაფერისი იქნებოდა და არ გაუჩნდებოდათ ის წინააღმდეგობა, რაც დააკარგვინებდათ აქტივობისადმი და

მთლიანად უცხო ენისადმი ინტერესს, რადგანაც ცნობილია, ის ფაქტი რომ თუ მოსწავლე რამოდენიმეჯერ ვერ უმკლავდება კონკრეტულ აქტივობას ის თანდათანობით კარგავს ინტერესს მისდამი და სრულიად უმოქმედო ხდება გაკვეთილზე.

საწყის ეტაპზე გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ რთული იყო გაგება ელემენტარული სიტყვების, ფრაზებისა თუ შესიტყვებების ინგლისურ ენაზე, რის გამოც მიწევდა მისი თარგმნა, რათა მათ დაემახსოვრებინათ, შემდეგ ჯერზე მივალწიეთ იმას რომ აღნიშნული სიტყვები და ფრაზები მათთვის უცხო ენაზეც გასაგები იყო და თანდათანობით მოსწავლეები ეცდებოდნენ ინგლისურად გაეცათ პასუხი და შემოსულიყვნენ დიალოგში, პროგრესირებულად მიმდინარეობს ეს პროცესი, რაც მოსწავლეების ბევრი შრომისა და დიდი მონდომების შედეგია.

წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის საიტზე გავეცანი რუსული ენის მასწავლებლის პირად პედაგოგიურ კვლევას რომელიც ეხება ინტერკულტურული ურთიერთობის სწავლებას, რამაც გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდგომ გავეცანი ზვარეს სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის თეონა გოგიტიძის პირად პედაგოგიურ კვლევას, რომელიც სწავლების აქტუალური მთოდების გამოყენებას ეხება.

ამრიგად კომუნიკაციის პრობლემა სკოლის პედაგოგის კვლევის საგანი გახდა იგი გამოყენებულია ისეთი საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ.

საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში პირად პედაგოგიურ საქმიანობაში ჩავრთე ჩემს მიერ შემუშავებული გეგმები, სცენარები, აქტივობები, გავითვალისწინე საკომუნიკაციო (სასაუბრო) უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან ის კომუნიკაციის ძირითადი წყაროა. ამ უნარის განვითარება ამავედროულად პრობლემურიცაა, რამდენადაც შესაფერისი აქტივობების დაგეგმვის გარდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია

მოსწავლეების სოციალური უნარებიც, როგორცაა თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, მოტივაცია. ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას ახლავს უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი, მაგ: შიში ან სიმორცხვე, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულების და სტრუქტურების არცოდნით, ასევე შეცდომის დაშვების შიშით. ამიტომ ზეპირმეტყველების აქტივობების შერჩევას ვითვალისწინებ მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარების დონე. საინტერესო და, სახალისო აქტივობების გარდა, მოსწავლეებისთვის აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე იგრძნობს მასწავლებლის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას და არ ექნება შეცდომის დაშვების შიში.

ამიტომ შიშისა და კომპლექსების დასაძლევად ვაჩვენებ მოსწავლეებს ვიდეოს ან ვებუნები სანდო გვერდს, რომლებშიც წარმატებული პრეზენტატორები საჯაროდ გამოსვლის დროს შეცდომებს უშვებენ და მათთვის არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, თუმცა მაინც წარმატებულად აგრძელებენ გამოსვლას. მოსწავლეები აცნობიერებდნენ, რომ შეცდომა შესაძლებელია ნებისმიერმა დაუშვას და შესაძლოა დაეხმაროს მათ დაძლიონ სიმორცხვე ან შიში და გახდნენ უფრო თავდაჯერებულები. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არ მოექცეს მასწავლებლის ზეგავლენის ქვეშ და არ შეასრულოს იძულებითი პერფორმანსი, პირიქით, დავაკისროთ მათ ისეთი დავალების შესრულება, რომელიც ნაკლებ საუბარს ითვალისწინებს, შევაქოთ მისი ნებისმიერი მცდელობა, რაც აუმაღლებს მას თვითშეფასებას და გაზრდის მის თავდაჯერებულობას. ამრიგად, მასწავლებელი უნდა ეცადოს გაზარდოს მოსწავლის შინაგანი მოტივაცია წახალისებით, მოდელირებით და ასე მიიყვანოს მოსწავლე სასურველ შედეგამდე.

სკოლაში შესვლის დღიდან უპირველესი რაც ავირჩიე ეს იყო მათთვის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება, ეს არჩევანი განაპირობა მოსწავლეთა საჭიროების კვლევამ, გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათთვის

მარტივი იყო ტექსტების წაკითხვა და თარგმნა, მაგრამ უჭირდათ დიალოგში ჩართვა და კომუნიკაცია.

უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარების დაბალი დონე გამოწვეულია იმით, რომ ბავშვები სკოლაში მიღებული თეორიული მასალის რეალიზებას პრაქტიკაში ვერ ახდენდნენ, ამიტომაც დავგეგმე ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემდა გაკვეთილის ფარგლებში ესაუბრათ და გაეღრმავებინათ თავიანთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

აქტივობები სხვადასხვა სახის იყო, მაგალითად პირველი აქტივობა, რომელსაც განვიხილავ არის წერილობით შეკითხვებზე ზეპირი პასუხის გაცემა და თავიანთი აზრის გადმოცემა, რატქმაუნდა ეს შეკითხვები საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარეობდა. ყოველი მოსწავლისათვის მათი აკადემიური მოსწრების შესაბამისად მქონდა მომზადებული კითხვები, როდესაც მათ დავურიგე კითხვები მივეცი დრო მოსაფიქრებლად, რათა თავიანთი აზრი ნათლად ჩამოეყალიბებინათ, ამის შემდეგ კი ისინი პასუხობდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთთან დიალოგში შესვლას და კომუნიკაციის დამყარებას ინგლისურ ენაზე.

შედეგი მივიღე ის, რომ ბავშვებმა შეძლეს დამოუკიდებლად საკუთარი აზრის გადმოცემა, რაც თანდათანობით დაეხმარება მათი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

მეორე აქტივობა ემოციების გამომხატველი და ადამიანის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესაფერისი სიტყვების დაუფლებას დავუთმეთ, ამისათვის პირველ რიგში გადავწყვიტე მიმეწოდებინა ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მათ დაეხმარებოდათ მომდევნო აქტივობის დამლევაში. მოცემული სიტყვათა მარაგის საშუალებით მათ უნდა დაეხასიათებინათ თავიანთი თანაკლასელები, რაც მე მომცემდა საშუალებას გამეგო რამდენად შეძლებდნენ მოცემული სიტყვების გამოყენებით და ასევე თავიანთი სიტყვათა მარაგის დართვით აზრის

გადმოცემას. უფრო მეტიც, ამ აქტივობის საფუძველზე გავიცნობდი მოსწავლეებს და მათ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ.

ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები დაეუფლენ ახალ სიტყვებს, გაიხსენეს განვლილი მასალა და ამასთანავე ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები ერთმანეთის მიმართ.

აქტივობა მესამე, რამოდენიმე კვირის დაკვირვებით დავადგინე, რომ მოსწავლეები ყოველ სიახლეს დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდნენ, ამიტომ მეც მაქსიმალურად ვცდილობ ყოველი გაკვეთილი საინტერესო და ნაყოფიერი გამოვიდეს. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს საუკუნეში ტექნოლოგიური რევოლუციას, შესაბამისად თანამედროვე თაობაც, რათქმაუნდა დაინტერესებულია, ამიტომ გადავწყვიტე ისეთი რესურსი გამომეყენებინა, რაც მათში დიდ ინტერესს გამოიწვევდა, ამიტომ საგაკვეთილო პროცესში ჩავრთე მოკლე მეტრაჟიანი ფილმები ინგლისურ ენაზე, თავისი ინგლისური ტიტრებით, რათა მარტივად აღქმადი ყოფილიყო. ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები.

ამ აქტივობით, მოსწავლეებმა შეძლეს შედარებით უფრო თავისუფლად კომუნიკაცია და თავიანთი შესაძლებლობაც განავითარეს.

მეოთხე აქტივობა დავგეგმე ინტელექტუალური გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ მოდიფიცირებით, მოვამზადე კითხვები განვლილი მასალის გასახსენებლად და გასამეორებლად, მოსწავლეებს რამდენიმე წუთის განმავლობაში უნდა გაეცათ კითხვებზე პასუხები, ვინც მოცემული დროის მონაკვეთში მეტ კითხვას გასცემდა პასუხს ის იქნებოდა გამარჯვებული. მოცემული აქტივობა გამოიწვია იმან, რომ მოსწავლეებს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ შემაჯამებელი გაკვეთილების მიმართ, მათი დაინტერესების მიზნით კი შევეცადე ინოვაციური მეთოდით ჩამეტარებინა შემაჯამებელი გაკვეთილი.

ზემოაღნიშნულმა აქტივობამ მოსწავლეებს აუმაღლა მოტივაცია და განუვითარა მიღებული ინფორმაციის სწრაფად აღქმის და დამუშავების

უნარი, ამასთან მათი ორიენტირი გახდა გამარჯვების სურვილი, რამაც უფრო გააღრმავა მათში ცოდნის მიღების სურვილი.

დღეისათვის მაღალმთიანი აჭარა ტურისტული თვალსაზრისით საკმაოდ მიმზიდველი კუთხეა, მომრავლდა ტურისტთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდა თაობას სჭირდება უცხო ენების საკომუნიკაციო დონეზე დაუფლება, მომდევნო აქტივობა კი სწორედ ამას ემსახურება, როლური თამაშები, მოსწავლეებმა წინასწარ გაინაწილეს როლები, როგორც ტურისტი და ადგილობრივი მაცხოვრებლები, დაამუშავეს საგაკვეთილო მასალაში მოცემული ფრაზები და სიტყვები, შემდეგ გაკვეთილზე დამუშავებული მასალის გამოყენებით გაითამაშეს აღნიშნული როლები, რისი მეშვეობითაც მოსწავლეებმა თავიანთი თვალთ დაინახეს თუ რა პრობლემის წინაშე ვიდექით. აღნიშნულით გაიზრეს ის, რომ უცხო ენის სწავლა არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ რეგიონისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანია.

აქედან გამომდინარე, ზემოთხსენებული პრაქტიკული აქტივობები მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი საკომუნიკაციო უნარების განვითარებასა და რეალიზებაში, რაც უდაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი წინსვლისათვის. ჩემი სულ რაღაც, რამდენიმე თვიანი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარების გზები დავსახეთ საგაკვეთილო თეორიულ მასალის გამოყენებით, რაც მოგვცემს საშუალებას ჩვენი ერთობლივი შრომა იყოს უფრო ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული.

დასკვნები

კომუნიკაცია სწავლების მიზანის ერთობლივად ერთად ახალი ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარებაა, აქცენტი კეთდება ლაპარაკ-მოსმენაზე რაც ორივე მხარეს სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვას უწყობს ხელს.

კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განსავითარებლად ეფექტურია ისეთი აქტივობების შერჩევა, რომელიც მოსწავლეთა ინტერესს იწვევს და დეკავშირებულია მათ საკლასო და ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

კომუნიკაციის პრობლემა სკოლის პედაგოგის კვლევის საგანი გახდა, იგი გამოყენებულია ისეთი საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ.

ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავება გულისხმობს უცხო ადამიანსა და შეცნობის უნარის შეძენას სხვადასხვ პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხოს შორის. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია რომლის დროსაც ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გაკვთილზევე ხდება შეძენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება.

კომუნიკაციური მიზნის განსახორციელებლად საჭირო ძირითადი ენობრივი საშუალებები, საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების მიმართვები, სიტყვათა წყობა, სიტყვების გამოთქმების მოსმენით გარჩევა, სწორი გამოთქმების ჩამოყალიბება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება. საუბარი ყოფით და თავისუფალ თემებზე და ა.შ

კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის ინსტრუმენტებისათვის მიდგომების და აქტივობების შერჩევისათვის გამოსადეგი პრინციპებია:

- ა) მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა
- ბ) სასწავლო მიზნის მისაღწევი შედეგის გათვალისწინება
- დ) მიღწეული შედეგების შეფასების გამოყენება პროგრესისათვის

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკატერინე მჟავანაძე, „ტესტებზე ორიენტირებული კომპეტენციების სწავლება/სწავლა უცხოური ენების მაგალითზე“, ბათუმი, 2012 წელი.
2. ხათუნა ხალვაში, „წერა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურზე“, ბათუმი, 2013 წელი.
3. რომან გოლომონიძე, „დისკუსიის გამოყენება სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის“, სამაგისტრო ნაშრომი, ხიჭაური, 2014 წელი.

4. გიორგი გოლომონიძე, „ინტერკულტურული განათლების პრობლემები, უცხოური ენის სწავლება/სწავლის მაგალითზე, სამაგისტრო ნაშრომი, ხიჭაური, 2014 წელი.
5. მზექალა აჭაიძე, „ირეალისი უცხო ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2018 წელი.
6. ივანე მინდაძე, „კომუნიკაციური დიდაქტიკა და დისკუსია როგორც სწავლების ფორმა“, თბილისი, 2006 წელი.
7. ნარგიზ ქილიფთარი, „ტრადიციები და ინოვაციები უცხოური ენების სწავლებისას, საკონფერენციო თემა, თბილისი, 2013 წელი.
8. მანანა ბოჭორიშვილი, „ტრანსფერული ცოდნის შექმნის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები, თბილისი, 2012 წელი.
9. რამაზ საყვარელიძე, „ინტერაქტიული სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები თბილისი ,2004 წელი.
10. <http://mastsavlebeli.ge/?p=8555>
11. <https://www.bsu.edu.ge/sub-56/page/10377/index.html>
12. https://cloud2k.edupage.org/cloud/kvleva_-_sakomunikacio_unarebi_inglisur_enashi.pdf?z%3AxZWZE%2B2D1RWmZaL7H%2B4CuAYIYCI1SERRWGMi5gPV%2FuMoGdGbYzllJ13Eh80bO5mu
13. https://www.wvi.org/sites/default/files/Qartuli_Print_HQ_2mm_bleed.pdf
14. https://www.tsu.ge/data/file_db/library/Lela%20Abdushelishvili%20PhD.pdf
15. <https://www.skillsyouneed.com/ips/improving-communication.html>
16. <https://elearningindustry.com/global-education-%ce%b1nd-language-learning-technology>
17. <https://www.communicaid.com/business-language-courses/blog/speak-foreign-language/>
18. <https://www.idrinstitute.org/resources/intercultural-communication/>
19. <https://moniviestin.jyu.fi/ohjelmat/hum/viesti/en/ics/2>